

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №99/ნ

2019 წლის 29 მაისი

ქ. თბილისი

პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/ნ - ვებგვერდი, 30.09.2019წ.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის ფორმა დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის ფორმა (ქართულ-ინგლისურენოვანი) დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2¹

დამტკიცდეს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის ფორმა დანართი №3-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/ნ - ვებგვერდი, 30.09.2019წ.

მუხლი 2²

დამტკიცდეს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის დანართის ფორმა (ქართულ-ინგლისურენოვანი) დანართი №4-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/ნ - ვებგვერდი, 30.09.2019წ.

მუხლი 2³

დამტკიცდეს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატის ფორმა დანართი №5-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/ნ - ვებგვერდი, 30.09.2019წ.

მუხლი 2⁴

დამტკიცდეს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატის დანართის ფორმა (ქართულ-ინგლისურენოვანი) დანართი №6-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/ნ - ვებგვერდი, 30.09.2019წ.

მუხლი 3

დაევალოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება ამ ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული ფორმის მიხედვით პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართების შემუშავების, შევსებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/ნ - ვებგვერდი, 30.09.2019წ.

მუხლი 4

დამტკიცდეს საქართველოში მიღებული პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის საფასური დანართი №7-ის შესაბამისად.



მუხლი 5

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი №1

პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის ფორმა

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს დანართი ადგენს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის (შემდგომში – დიპლომი) ფორმას.

2. დიპლომის გაცემაზე უფლებამოსილია შესაბამისად ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება), რომელმაც/რომლის სტრუქტურულმა ერთეულმა/ფილიალმა მოახდინა პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ან მისი უფლებამონაცვლე ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

მუხლი 2. დიპლომის მონაცემები

1. დიპლომი არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით;

ბ) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ დიპლომის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი (ემბლემა/გერბი), დიპლომის სერიისა და ინდივიდუალური ნომრის გამოსახულება უნდა გამოსცემდეს ლუმინესცენციას.

2. დიპლომზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

ა) დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდებები;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ექვსნიშნა ინდივიდუალური ნომერი (თანმიმდევრული არაბული ციფრებით);

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციალები – „სემგს“.

3. დიპლომი შედგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე დაწესებულების/ცენტრის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დიპლომის შედგენა რომელიმე სხვა უცხოურ ენაზეც.

4. დიპლომის სხვადასხვა ენაზე შედგენის მიუხედავად გამოიყენება ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირის ავთენტიკური ხელმოწერა.

5. დიპლომზე უნდა მიეთითოს:

ა) წარწერა „საქართველო“, რომელიც უნდა განთავსდეს დიპლომის ზედა ცენტრალურ ადგილზე;

ბ) დაწესებულების სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით);



გ) დაწესებულების ემბლემა/გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) „დიპლომი“;

ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დიპლომის სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი;

ვ) კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ორგანოს სახელწოდება (დაწესებულების სახელწოდების მითითებით, თუ აღნიშნული განსხვავდება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სახელწოდებისაგან);

ზ) კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი, რიცხვი, თვე, წელი;

თ) იმ პირის სახელი და გვარი, რომელსაც მიენიჭა კვალიფიკაცია;

ი) მინიჭებული კვალიფიკაციის დასახელება;

ი¹) ინფორმაცია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);

კ) დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა;

ლ) ადგილი, სადაც გაიცა დიპლომი;

მ) დიპლომის გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

ნ) დაწესებულების ბეჭედი (კერძო სამართლის იურიდიული პირის – დაწესებულების შემთხვევაში – ნებაცემობით);

ო) დიპლომის სარეგისტრაციო ნომერი დიპლომისა და დუბლიკატის რეგისტრაციის მიზნით წარმოებულ რეესტრში.

6. საქართველოში მიღებული პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელ დოკუმენტში – დიპლომში, ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „თ“, „ი“, „ი¹“, „ლ“, „მ“, „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების გარდა, დამატებით მიეთითება:

ა) ცენტრის სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით);

ბ) ცენტრის ემბლემა;

გ) ცენტრის ხელმძღვანელის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა;

დ) ცენტრის ბეჭედი.

7. დიპლომი, ამ დანართით განსაზღვრული მონაცემების გარდა, შესაძლებელია შეიცავდეს დაწესებულების/ცენტრის მიერ დადგენილ სხვა ინფორმაციას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი წარმოადგენს დაწესებულების სახელწოდებას დიპლომის გაცემის მომენტში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 23 თებერვლის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 24.02.2021 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №118/ნ - ვებგვერდი, 29.10.2025 წ.

მუხლი 3. დიპლომის დუბლიკატი

1. დუბლიკატი გაიცემა იმ პირზე, რომლის დიპლომი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უკარგისი.



2. დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილია ამ დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულება/ცენტრი.

3. დუბლიკატის შედგენისას ივსება დაწესებულების/ცენტრის მიერ დამტკიცებული დიპლომის ფორმა, რომელსაც დაესმება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“.

4. (ამოღებულია - 07.12.2023, №131/5).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №131/5 - ვებგვერდი, 08.12.2023 წ.

მუხლი 4. დიპლომის ფორმის, გაცემული დიპლომისა და დუბლიკატის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. დაწესებულება ვალდებულია დიპლომის დამტკიცებული ფორმის ერთი ეგზემპლარი წარადგინოს ცენტრში.

2. დაწესებულება/ცენტრი ვალდებულია, დიპლომის/დუბლიკატის შევსებიდან 10 დღის ვადაში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ატვირთოს დიპლომის/დუბლიკატის ელექტრონული ასლი და ასახოს შემდეგი მონაცემები: დიპლომის/დუბლიკატისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერია, ინდივიდუალური ნომერი. დაწესებულება ვალდებულია, აგრეთვე, აღნიშნულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანისას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახოს შესაბამისი ცვლილება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 23 თებერვლის ბრძანება №14/5 - ვებგვერდი, 24.02.2021 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №131/5 - ვებგვერდი, 08.12.2023 წ.

დანართი №2

(იხილეთ თანდართულ ფაილად)

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №118/5 - ვებგვერდი, 29.10.2025 წ.

დანართი №3

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/5 - ვებგვერდი, 30.09.2019წ.

პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის ფორმა

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს დანართი ადგენს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის (შემდგომში – სერტიფიკატი) ფორმას.

2. სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მქონე ის იურიდიული პირი (შემდგომში – დაწესებულება), რომელშიც მსმენელმა დაასრულა პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა, ან მისი უფლებამონაცვლე.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მქონე იურიდიული პირი, რომელშიც მსმენელმა დაასრულა პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა, შეწყვეტს ან გაუუქმდება საქმიანობის უფლება უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილია სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სერტიფიკატის დუბლიკატის (შემდგომში – დუბლიკატი) გაცემისას, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა იხელმძღვანელებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემებით.



4. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მქონე იურიდიული პირი არის ამავდროულად ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება და იგი შეწყვეტს ან გაუუქმდება პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება, იგი უფლებამოსილია გასცეს სერტიფიკატი/დუბლიკატი.

მუხლი 2. სერტიფიკატის მონაცემები

1. სერტიფიკატი არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით;

ბ) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ სერტიფიკატის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი (ემბლემა/გერბი), სერტიფიკატის სერიისა და ინდივიდუალური ნომრის გამოსახულება უნდა გამოსცემდეს ლუმინესცენციას.

2. სერტიფიკატის ფორმაზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

ა) დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდებები;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერტიფიკატის სერია (ლათინური ასოებით) და ექვსნიშნა ინდივიდუალური ნომერი (თანმიმდევრული არაბული ციფრებით);

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციალები – „სემგს“.

3. სერტიფიკატი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და, დაწესებულების გადაწყვეტილებით, რომელიმე უცხოურ ენაზე/ენებზე.

4. სერტიფიკატის სხვადასხვა ენაზე შედგენის მიუხედავად, გამოიყენება ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირის ავთენტიკური ხელმოწერა.

5. სერტიფიკატზე უნდა მიეთითოს:

ა) წარწერა „საქართველო“, რომელიც უნდა განთავსდეს სერტიფიკატის ზედა ცენტრალურ ადგილზე;

ბ) დაწესებულების სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით);

გ) დაწესებულების ემბლემა/გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) „სერტიფიკატი“;

ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატის სერია (ლათინური ასოებით) და ექვსნიშნა ინდივიდუალური ნომერი (თანმიმდევრული არაბული ციფრებით);

ვ) პირის მიერ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების საფუძველზე, კურსდამთავრებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი (დღე, თვე, წელი), აგრეთვე, ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღების თაობაზე დაწესებულების სახელწოდების მითითებით, თუ აღნიშნული განსხვავდება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სახელწოდებისაგან;

ზ) იმ პირის სახელი და გვარი, რომელმაც დაასრულა პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა;

თ) მითითება პროფესიული მომზადების პროგრამის ან პროფესიული გადამზადების პროგრამის



დასრულების შესახებ და ხანგრძლივობა საათებში, პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამის დასახელება და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე;

ი) დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა, ასევე ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიმღების სახელი, გვარი და ხელმოწერა, იმ შემთხვევაში თუ იგი არ წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელს;

კ) ადგილი, სადაც გაიცა სერტიფიკატი;

ლ) სერტიფიკატის გაცემის თარიღი (დღე, თვე, წელი);

მ) დაწესებულების ბეჭედი (კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში – ნებაცემით);

ნ) პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი.

6. სერტიფიკატი ამ მუხლით დადგენილი მონაცემების გარდა შესაძლებელია შეიცავდეს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას/რეკვიზიტს/მონაცემს, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი წარმოადგენს დაწესებულების სახელწოდებას სერტიფიკატის გაცემის მომენტში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 23 თებერვლის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 24.02.2021 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №118/ნ - ვებგვერდი, 29.10.2025 წ.

მუხლი 3. სერტიფიკატის დუბლიკატი

1. სერტიფიკატის დუბლიკატი გაიცემა იმ პირზე, რომლის სერტიფიკატი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.

2. დუბლიკატი უნდა აკმაყოფილებდეს ამ დანართის მე-2 მუხლის მოთხოვნებს. დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილი არიან ამ დანართის პირველი მუხლით გათვალისწინებული სუბიექტები.

3. დუბლიკატის შედგენისას ივსება ამ დანართის პირველი მუხლით გათვალისწინებული სუბიექტების მიერ დამტკიცებული შესაბამისი სერტიფიკატის ფორმა, რომელსაც დაესძება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“. შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“ დაისმის როგორც ქართულ, ასევე იმ უცხოურ ენაზე, რომელ ენაზეც ივსება დაწესებულების მიერ დამტკიცებული შესაბამისი სერტიფიკატის ფორმა.

4. თუ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით არ დგინდება სერტიფიკატის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შესაბამისი სრული ინფორმაცია, დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დუბლიკატში ასახოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომლის დადასტურებაც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. (ამოღებულია - 07.12.2023, №131/ნ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №131/ნ - ვებგვერდი, 08.12.2023 წ.

მუხლი 4. სერტიფიკატის ფორმის, გაცემული სერტიფიკატისა და დუბლიკატის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. დაწესებულება ვალდებულია სერტიფიკატის დამტკიცებული ფორმის ერთი ეგზემპლარი წარადგინოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.



2. დაწესებულება ვალდებულია სერტიფიკატის/დუბლიკატის შევსებიდან 10 დღის ვადაში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ატვირთოს სერტიფიკატის/დუბლიკატის ელექტრონული ასლი, აგრეთვე, ასახოს შემდეგი მონაცემები: სერტიფიკატის/დუბლიკატისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერია, ინდივიდუალური ნომერი. დაწესებულება ვალდებულია, აგრეთვე, აღნიშნულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანისას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახოს შესაბამისი ცვლილება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 23 თებერვლის ბრძანება №14/6 - ვებგვერდი, 24.02.2021 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №131/6 - ვებგვერდი, 08.12.2023 წ.

დანართი №4

(იხილეთ თანდართულ ფაილად)

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/6 - ვებგვერდი, 30.09.2019წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №118/6 - ვებგვერდი, 29.10.2025 წ.

დანართი №5

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/6 - ვებგვერდი, 30.09.2019წ.

პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატის ფორმა

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს დანართი ადგენს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატის (შემდგომში – სერტიფიკატი) ფორმას.

2. სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება (შემდგომ – დაწესებულება), რომელმაც/რომლის სტრუქტურულმა ერთეულმა/ფილიალმა მოახდინა სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევის დადასტურება ან მისი უფლებამონაცვლე ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომ – ცენტრი).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №118/6 - ვებგვერდი, 29.10.2025 წ.

მუხლი 2. სერტიფიკატის მონაცემები

1. სერტიფიკატი არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით;

ბ) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ სერტიფიკატის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი (ემბლემა/გერბი), სერტიფიკატის სერიისა და ინდივიდუალური ნომრის გამოსახულება უნდა გამოსცემდეს ლუმინესცენციას.

2. სერტიფიკატის ფორმაზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

ა) დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდებები;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერტიფიკატის სერია (ლათინური ასოებით) და ექვსნიშნა ინდივიდუალური



ნომერი (თანმიმდევრული არაბული ციფრებით);

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციალები – „სემგს“.

3. სერტიფიკატი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და, დაწესებულების გადაწყვეტილებით, რომელიმე უცხოურ ენაზე/ენებზე.

4. სერტიფიკატის სხვადასხვა ენაზე შედგენის მიუხედავად, გამოიყენება ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირის ავთენტიკური ხელმოწერა.

5. სერტიფიკატზე უნდა მიეთითოს:

ა) წარწერა „საქართველო“, რომელიც უნდა განთავსდეს სერტიფიკატის ზედა ცენტრალურ ადგილზე;

ბ) დაწესებულების სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით);

გ) დაწესებულების ემბლემა/გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) „სერტიფიკატი“;

ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატის სერია (ლათინური ასოებით) და ექვსნიშნა ინდივიდუალური ნომერი (თანმიმდევრული არაბული ციფრებით);

ვ) პირის მიერ ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი (დღე, თვე, წელი), აგრეთვე, ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღების თაობაზე, დაწესებულების სახელწოდების მითითებით, თუ აღნიშნული განსხვავდება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სახელწოდებისაგან;

ზ) იმ პირის სახელი და გვარი, რომელმაც მიაღწია ცალკეული მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს;

თ) ინფორმაცია ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ და კრედიტების რაოდენობა, შესაბამისი მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო კოდი ან ინფორმაცია დასრულებული მოდულების რაოდენობისა და ამ მოდულების შესაბამისად ჯამური კრედიტების რაოდენობის შესახებ;

ი) დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა.

კ) ადგილი, სადაც გაიცა სერტიფიკატი;

ლ) სერტიფიკატის გაცემის თარიღი (დღე, თვე, წელი);

მ) დაწესებულების ბეჭედი (კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში – ნებაყოფლობით);

ნ) პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი.

6. სერტიფიკატი ამ მუხლით დადგენილი მონაცემების გარდა შესაძლებელია შეიცავდეს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას/რეკვიზიტს/მონაცემს, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი წარმოადგენს დაწესებულების სახელწოდებას სერტიფიკატის გაცემის მომენტში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 23 თებერვლის ბრძანება №14/ბ - ვებგვერდი, 24.02.2021 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №118/ბ - ვებგვერდი,



მუხლი 3. სერტიფიკატის დუბლიკატი

1. სერტიფიკატის დუბლიკატი (შემდგომში – დუბლიკატი) გაიცემა იმ პირზე, რომლის სერტიფიკატი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.
2. დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილია ამ დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულება.
3. დუბლიკატის შედგენისას ივსება დაწესებულების მიერ დამტკიცებული შესაბამისი სერტიფიკატის ფორმა, რომელსაც დაესმება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“. შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“ დაისმის როგორც ქართულ, ასევე იმ უცხოურ ენაზე, რომელ ენაზეც ივსება დაწესებულების მიერ დამტკიცებული შესაბამისი სერტიფიკატის ფორმა.
4. თუ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით არ დგინდება სერტიფიკატის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შესაბამისი სრული ინფორმაცია, დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დუბლიკატში ასახოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომლის დადასტურებაც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. (ამოღებულია - 07.12.2023, №131/6).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №131/6 - ვებგვერდი, 08.12.2023 წ.

მუხლი 4. სერტიფიკატის ფორმის, გაცემული სერტიფიკატისა და დუბლიკატის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. დაწესებულება ვალდებულია სერტიფიკატის დამტკიცებული ფორმის ერთი ეგზემპლარი წარადგინოს ცენტრში.
2. დაწესებულება ვალდებულია სერტიფიკატის/დუბლიკატის შევსებიდან 10 დღის ვადაში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ატვირთოს სერტიფიკატის/დუბლიკატის ელექტრონული ასლი, აგრეთვე, ასახოს შემდეგი მონაცემები: სერტიფიკატის/დუბლიკატისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერია, ინდივიდუალური ნომერი. დაწესებულება ვალდებულია, აგრეთვე, აღნიშნულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანისას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახოს შესაბამისი ცვლილება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 23 თებერვლის ბრძანება №14/6 - ვებგვერდი, 24.02.2021 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №131/6 - ვებგვერდი, 08.12.2023 წ.

**დანართი №6
(იხილეთ თანდართულ ფაილად)**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/6 - ვებგვერდი, 30.09.2019წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №118/6 - ვებგვერდი, 29.10.2025 წ.

დანართი №7

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/6 - ვებგვერდი, 30.09.2019წ.

საქართველოში მიღებული პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის საფასური

მუხლი 1. საფასურის ოდენობა

ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან



იმულებით გადაადგილებული პირების – დევნილების მიერ მიღებული პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი დუბლიკატის გაცემის საფასურია – 10 სამუშაო დღის განმავლობაში სტანდარტული წარმოებისათვის – 50 (ორმოცდაათი) ლარი, 5 სამუშაო დღის განმავლობაში დაჩქარებული წარმოებისათვის – 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარი, 1 სამუშაო დღის განმავლობაში დაჩქარებული წარმოებისათვის – 100 (ასი) ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 20 მაისის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 21.05.2021წ.

მუხლი 2. საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი

1. საფასური გადაიხდება წინასწარ, შესაბამისი მომსახურების გაწევამდე, უნაღდო ანგარიშსწორებით სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) ანგარიშსწორების ანგარიშზე შეტანის გზით.

2. ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებისათვის გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ დაინტერესებული პირი შესაბამისი მომსახურების შესახებ განცხადების რეგისტრაციამდე უარს აცხადებს მომსახურებაზე.

3. თუ მომსახურების გაწევისას ცენტრმა დაუშვა შეცდომა, კერძოდ, დოკუმენტი გაცემულ იქნა არასწორი მონაცემებით, დაინტერესებულ პირს ხელახლა გაეწევა მომსახურება დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი უარს განაცხადებს მომსახურების ხელახლა მიღებაზე, მას უბრუნდება გადახდილი საფასური.

4. თუ საფასური გადახდილია ამ წესით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და ამ დანართით დადგენილ განაკვეთს შორის.

5. ამ მუხლით დადგენილი წესით საფასური ბრუნდება დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

